გადაწყვეტილება

N გ-22-7/284
23/06/2022

284-გ-22-1-4-202206230854

**რადიომოყვარულ გოგიტა მენაბდიშვილისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა
და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის
სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-22-9/2410, 22.06.2022) მიმართა მოქალაქე გოგიტა მენაბდიშვილმა (მცხ. ქ. კასპი, გაბაშვილის № 43) 50-52 მგჰც დიაპაზონში (6 მეტრიანი ტალღები), სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის, დროებით სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ გოგიტა მენაბდიშვილი არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული და კომისიის 2018 წლის 13 სექტემბრის № 541/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სახმობი 4L7CE. ზაფხულის პერიოდში, რადიოტალღების გავრცელების თავისებურებებიდან გამომდინარე, რადიომოყვარულ გოგიტა მენაბდიშვილის მიერ, სამოყვარულო რადიოკავშირები განხორციელებული იქნება 50-52 მჰც სიხშირეებზე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და 51^8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ გოგიტა მენაბდიშვილს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, ასევე 50-52 მჰც სიხშირეებზე, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად **2022 წლის 23 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით:**

რეგისტრაციის №	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
T – 092	გოგიტა მენაბდიშვილი	ქ. კასპი, გაბაშვილის № 43	4L7CE	„A“

2. რადიომოყვარული გოგიტა მენაბდიშვილი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის

რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების გოგიტა მენაბდიშვილისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) გოგიტა მენაბდიშვილისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი